



This project is funded by the EU



EaP GREEN პროგრამა: მწვანე ეკონომიკის განვითარება ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სადემონსტრაციო პროექტი საქართველოში

მცირე და საშუალო ზომის საწარმოების რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბები

სახელმძღვანელო ფასილიტატორისთვის

მანქანის მუშაობა და ეფექტური გამოყენება		ნარჩენების შემცირება და უსაფრთხოდ განთავსება
წყლის ეფექტური მოხმარება		ჩამდინარე წყლების შემცირება და გაწმენდა
ენერჯი რესურსების მუშაობა და ეფექტური გამოყენება		ჰაერში ემისიების შემცირება და კონტროლი

სარჩევი

ფასილიტატორის სახელმძღვანელოს დანიშნულება	3
ფასილიტატორის როლი.....	4
ფასილიტაციის პრინციპები.....	5
რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის მიზნები	9
რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის აქტივობები	15
1. ოპერატიული და ბიზნეს დაგეგმვა	16
2. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების პოპულარიზაცია და საწარმოების მოზიდვა, კლუბებში ჩართვა	17
3. კლუბის შეხვედრები/ტრენინგები.....	18
4. საწარმოო საკითხებზე ინდივიდუალური რჩევები კომპანიებისთვის	21
5. გაგრძელება.....	22
რესურსების პაკეტი	23
დამხმარე მასალები საწარმოებისთვის	23
დამხმარე მასალები ფასილიტატორისთვის	27

პუბლიკაცია მომზადდა „მწვანე ეკონომიკის განვითარება აღმოსავლეთ სამეზობლოში“ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს ევროკავშირი და ახორციელებს ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) გაეროს გარემოს დაცვის პროგრამასთან (UN Environment), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციასთან (UNIDO) და გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიასთან (UNECE) ერთად. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავენ ევროკავშირის ოფიციალურ თვალსაზრისს. პუბლიკაცია მომზადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური რედაქტირების გარეშე.

ტერმინები, როგორცაა „განვითარებული“, „ინდუსტრიული“ და „განვითარებადი“, პუბლიკაციაში იხმარება სტატისტიკური მოხერხებულობის მიზნით და ისინი არ გამოხატავენ თვალსაზრისს რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ან რეგიონის განვითარების მიღწეული დონის შესახებ.

დოკუმენტში კომპანიების და კომერციული პროდუქტების სახელების მოხსენიება არ არის დამტკიცებული UNIDO-ს მიერ. პუბლიკაციაში წარმოდგენილი პროექტები შერჩეულია გეოგრაფიული და თემატური მრავალფეროვნების წარმოჩენის მიზნით და არ არის დამტკიცებული UNIDO-ს მიერ.

წინასიტყვაობა

პარტნიორობა გარემოსდაცვისა და განვითარებისთვის EaP GREEN, ანუ პროგრამა „მწვანე ეკონომიკის განვითარება ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში“ მხარს უჭერს საქართველოს, აზერბაიჯანის, ბელარუსიის, მოლდოვეთის, სომხეთის და უკრაინის მთავრობებს, რათა მათ დაიწყონ ცვლილებები ე.წ. მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის. EaP GREEN პროგრამას ძირითადად აფინანსებს ევროკავშირი. პროგრამას ახორციელებს ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) გაეროს გარემოს დაცვის ორგანიზაციასთან (UN Environment), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციასთან (UNIDO) და გაეროს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიასთან (UNECE) ერთად. (www.eap-green.org).

მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშესაწყობად EaP GREEN პროგრამის ფარგლებში გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ახორციელებს რესურსეფექტურ და სუფთა წარმოების (RECP) სადემონსტრაციო პროექტს, რომლის მიზანია ამ ქვეყნების მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში წარმოების ეფექტურობის გაზრდის და გარემოს დაცვის გაუმჯობესების შესაძლებლობების დემონსტრირება. პროექტის ევროკავშირთან ერთად აფინანსებს ავსტრიის განვითარების ბანკი და სლოვენიის მთავრობა.

რესურსეფექტური და სუფთა წარმოება მოიცავს პრევენციულ გარემოსდაცვით პრაქტიკას და საწარმოო პროცესებისადმი ისეთ მიდგომებს, რომელიც მიმართულია წარმოების ეფექტურობის გაზრდაზე, გარემოს დაბინძურების და ადამიანების ჯანმრთელობისადმი რისკების შემცირებაზე. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საწარმოო პროცესებში ნედლეულის, წყლის და ენერჯო რესურსების ეფექტურად მოხმარებას, ასევე ნარჩენების და ემისიების შემცირებას, ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და კეთილდღეობას. (www.unido.org/cp).

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბი მიმართულია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ხელშესაწყობად. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის მუშაობის მეთოდოლოგია დაფუძნებულია ოცწლიან საერთაშორისო გამოცდილებაზე ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ინდოეთი, ავსტრია, ინგლისი, სამხრეთ აფრიკა.

წინამდებარე სახელმძღვანელო საქართველოსათვის მომზადდა EaP GREEN პროგრამის UNIDO-ს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების პროექტის ფარგლებში. სახელმძღვანელო თავდაპირველად მომზადდა უცხოელი ექსპერტის მიერ ინგლისურ ენაზე. შემდგომში მოხდა მისი თარგმნა ქართულ ენაზე და ადაპტირება 2015-2016 წლებში UNIDO-ს პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში, რუსთავში, კასპში და ქუთაისში ჩამოყალიბებული რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების საქმიანობიდან მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით.

ფასილიტატორის სახელმძღვანელოს დანიშნულება

სახელმძღვანელო იძლევა ზოგად ინსტრუქციებს ფასილიტატორებისა და ეროვნული კოორდინატორებისათვის, თუ როგორ მოვახდინოთ ეტაპობრივად ორგანიზება, დაგეგმვა და ინსტრუქციების მიწოდება რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბებისათვის, რაც დაეხმარება მათ სამუშაო შეხვედრების ჩატარებაში, საწარმოებში რესურსეფექტური და სუფთა წარმოების შეფასებისა და რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.



სურ.1. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის ფასილიტატორის შეხვედრა საწარმოს წარმომადგენლებთან

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის მოდელი, მისი მთავარი მიზნები და ამოცანები, ექსპლუატაციისა და ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვის მნიშვნელობა, განსახორციელებელი ღონისძიებები და დამხმარემასალები აღწერილია დეტალურად ფასილიტატორის სახელმძღვანელოში.

ფასილიტატორის როლი

ფასილიტატორი არის „ნეიტრალური პიროვნება, რომელიც მისაღებია ჯგუფის ყველა წევრისთვის და არ გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. იგი ეხმარება ჯგუფს პრობლემების გადაჭრასა და გადაწყვეტილებების მიღებაში“ (Roger M. Schwarz).

ფასილიტატორს აქვს რთული/კომპლექსური როლი და მასზეა დამოკიდებული რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების წარმატება და რესურსეფექტური და სუფთა წარმოების შესაძლებლობების გამოვლენა, ამიტომ აუცილებელია შემდეგ თავში აღწერილი პრინციპების ზედმიწევნით გათვალისწინება.

ფასილიტაციის პრინციპები

ფასილიტატორად მუშაობის პერიოდში გასათვალისწინებელია ქვემოთ მოცემული პრინციპები:



სურ. 2. ფასილიტაციის პრინციპები(წყარო: St Ethelburga's Centre for Reconciliation and Peace)

მომზადება

შეხვედრისთვის განკუთვნილი დროს რაციონალურად გამოყენებისთვის დღის წესრიგის მომზადება:

- დროის მონაკვეთების დგენვა;
- მასალებით უზრუნველყოფა;
- მონაწილეებთან მოსახერხებელი დროის პერიოდის შეთანხმება;
- მონაწილეების წინაშე წარსადგენად მომზადება;
- საჭირო ნივთების მომზადება;
- თქვენი სამუშაო არ იწყება მაშინ, როცა იწყება შეხვედრა და არ მთავრდება მაშინ, როცა შეხვედრა მთავრდება. თქვენი სამუშაო არის პროცესის ხელშეწყობა, რაც ნიშნავს შეხვედრების გარდა დამატებით გაცილებით მეტი დროის დათმობას კლუბის საქმიანობაზე.

დღის წესრიგი

დრო	ღონისძიება	მომხსენებელი
14:00-14:15	განმარტავი კითხვა პროცესის შეფასება	საკუპანაძე
14:15-15:00	ტრენინგის კონსტრუქციულობა • რა? • რატომ? • როგორ?	საკუპანაძე
15:00-15:30	პრაქტიკული დავალება შეჯერებაში: კონკრეტული "რეგულაცია" - სამუშაო ფორმების გადართვა	ჩიკოლიძე
15:30-15:45	რა იქნება შემდეგი ნაბიჯი: - კონკრეტული რეგულაცია მონაწილეთა შერჩევა	ჩიკოლიძე
15:45-16:00	დასრულების შეფასება/შეჯერება	საკუპანაძე

სურ.3. დღის წესრიგი

სტუმართ-მოყვარეობა

სტუმართმოყვარეობის გამოხატვა ძალიან მნიშვნელოვანია.ეს საშუალებას აძლევს მონაწილეს, რომ თავი იგრძნოს დაფასებულად, უსაფრთხოდ, მშვიდად და გაიხსნას ურთიერთობაში. ამისათვის საჭიროა:

- თბილი მისალმება, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ჯგუფის საჭიროებებზე (მათ შორის კულტურული, რელიგიური საჭიროებები);
- კომფორტული გარემო პირობების შექმნა;
- საკვების დაგამაგრებელი სასმელის შეთავაზება;
- მეგობრობის შეთავაზება.

უსაფრთხო გარემო

მონაწილეები მაშინ ჩაერთვებიან მთლიანად, როდესაც თავს იგრძნობენ უსაფრთხოდ. ფასილიტატორმა უნდა იფიქროს რა სჭირდებათ მათ, რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნონ და მიიღოს შესაბამისი ზომები. ამისათვის საჭიროა:

- გააფრთხილეთ მონაწილეები, იცოდნენ რას უნდა ელოდონ კლუბისგან;
- დაუდგინეთ „თამაშის“ წესები;
- პროცესებში იყავით მკაფიო და გამჭვირვალე;
- მიაქციეთ ყურადღება ტემპს და ნუ წახვალთ სიღრმისეულად, სანამ საკმარისი ნდობა არ დამყარდება თქვენდამი;
- იყავით მზად მხარდაჭერისთვის;
- მიეცით საშუალება მონაწილეს თავისით მივიდეს იმ დონეზე, რომ ნებაყოფლობით ჩაერთოს პროცესში;
- შეიცანით სხვადასხვა კულტურული და სენსიტიური საკითხების საჭიროებები.




სურ.4.კლუბის წევრებთან შეხვედრა

კრეატიულობა

გამოიყენეთ სლაიდები, სურათები, მაგალითები და სხვა მასალები მონაწილეების ყურადღების მისაპყრობად. გამოიყენეთ კრეატიული სწავლების ტექნიკა¹:

- გონებრივი იერიში - აზროვნების პროცესია, რომლის დროსაც მონაწილეებს სთხოვენ კონკრეტულ საკითხზე გამოთქვან იდეები, რომლებიც შესაძლოა იყოს გიჟური და შოკის მომგვრელიც კი;
- „მიდი გააკეთე“ - განსაზღვრეთ პრობლემები, წარმოაჩინეთ პრობლემის ბევრი შესაძლო გადაწყვეტა, მოახდინეთ საუკეთესო გადაწყვეტის იდენტიფიცირება და გარდაქმნით ის ეფექტურ ქმედებაში;
- ე.წ. „თევზის ფხა“- ეს ტექნიკა ითვალისწინებს პრობლემის შესაძლო გამოძვევი მიზეზების ვიზუალურ წარმოჩენას;
- დასვით შეკითხვები თემასთან დაკავშირებით.



სურ.5. ე.წ. „თევზის ფხა“ ტექნიკა

¹<http://www.celt.iastate.edu/teaching-resources/classroom-practice/teaching-techniques-strategies/creativity/techniques-creative-teaching>

**სხვადასხვა
პერსპექტივების
მოაზრება**

ფასილიტატორის როლი არ არის შეთანხმების მიღწევა, არამედ მანსხვადასხვა გზებით უნდა წარმოაჩინოს განსხვავებული პერსპექტივები. მისი მიზანია იყოს პატივისცემით და თანასწორობით განმსჭვალული ატმოსფეროს შექმნა სხვადასხვა მოსაზრებებთან მიმართებაში და გაუღვივოს მონაწილეებს ცნობისმოყვარეობა.



სურ.6. კლუბის წევრებთან მუშაობა

მოდელირება

ფასილიტატორმა უნდა მოახდინოს ჯგუფის დიალოგის წარმართვა იმგვარად, რომ ნაყოფიერი და კომფორტული გამოვიდეს ჯგუფური მუშაობა, არ მოხდეს დაძაბულობა, მონაწილეებმა მოთმინებით მოუსმინონ ერთმანეთს, დასვან კითხვები და არ შეაფასონ სხვისი მოსაზრებები.



სურ.7. დიალოგი კლუბის წევრებთან

**ყურადღებიანობა
და
პასუხისმგებლობა**

კარგი ფასილიტაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ყურადღებიანობა. ამისათვის საჭიროა:

- იყოთ სრულიად ყურადღებიანი ჯგუფის მიმართ და სრულად ჩაერთოთ ჯგუფურ პროცესებში;
- მოისმინეთ ყურადღებით და სიღრმისეულად გაანალიზეთ გამოთქმული მოსაზრებები;
- ჯგუფის წევრებს მიუდევით ინდივიდუალურად;
- შეხვედრებს შორის პერიოდში იყავით დახმარებისთვის ხელმისაწვდომი.



სურ.8. ჯგუფის წევრებთან ინდივიდუალური მუშაობა

**უფლება
მოსილების
მინიჭება**

კლუბის წევრები არ უნდა იყვნენ ყოველთვის დამოკიდებულნი ფასილიტატორზე. მათ უნდა მიეცეთ საშუალება თავად გაიკვალონ გზა მიმდინარე პროცესებში. გასათვალისწინებელი მომენტი, რომ კლუბის რომელიმე წევრს არ დავრთოთ ნება, რომ მთლიანად საკუთარ თავზე აიღოს გადაწყვეტილებების მიღება ჯგუფის ყველა წევრის ნაცვლად.



სურ.9.ჯგუფის წევრებთან მუშაობა

**იყავი
პასუხისმგებელი
და მოქნილი**

კვალიფიციური ფასილიტაცია საჭიროებებზე სათუთი გზებით რეაგირების საშუალებას იძლევა. ფასილიტატორს საშუალებას აძლევს მიიღოს გადაწყვეტილება თუ რა სახის რეაგირებაა საჭირო. ფასილიტატორმა უნდა მოახერხოს, რომ ყველაზე ჩუმად მყოფმა წევრებმაც გამოთქვან აზრები, იგი უნდა მიხვდეს როდის სჯობს, რომ უფრო დეტალურად შეეხოს საკითხს ან პირიქით. ზოგჯერ უკეთესია ფასილიტატორმა მიიღოს გადაწყვეტილებები ჯგუფის მოთხოვნების მიხედვით, რაც შესაბამისად უკეთესი შედეგის მომტანი იქნება.



სურ.10.ჯგუფის წევრების ინდივიდუალური ჩართულობა დისკუსიაში

გააგრძელეშემდეგშიც

პროგრამის მიმდინარეობისას მიწოდებული იდეების საშუალებით ფასილიტატორს შეუძლია ისეთი ზეგავლენის მოხდენა ჯგუფის წევრებზე, რომელმაც პროგრამის დასასრულს შესაძლებელია გამოიწვიოს მონაწილეების პერსონალური ტრანსფორმაცია ანუ ჩვევების ცვლილება და ახალი იდეების გაჩენა.



სურ.11.ახალი იდეების მიწოდება

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის მიზნები

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების მიზანია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ხელშეწყობა ეფექტური ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გადაწყვეტების შემუშავებაში.

თითოეული კლუბი ითვალისწინებს სხვადასხვა რეგიონში 8-10 საწარმოს დახმარებას ინტენსიური სასწავლო კურსისა და ინდივიდუალური მხარდაჭერის მეშვეობით.

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სასწავლო პროგრამა შედგება 6 მოდულისგან, რომელიც 3 კვირის ინტერვალით უნდა ჩატარდეს 4 თვის განმავლობაში. ტრენინგებს შორის უნდა მოხდეს საწარმოების ინდივიდუალური დახმარება. თითოეული ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენს 2-3 საათს. პროგრამის დასასრულს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის თითოეულ წევრს შემუშავებული უნდა ჰქონდეს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სამოქმედო გეგმა. ამ გეგმების განხორციელება ხელს შეუწყობს საწარმოებს დაზოგონ რესურსები და ნედლეული, შეამცირონ გარემოზე ზემოქმედება და ამ გზით მიიღონ ეკონომიკური სარგებელიც, მოვიდნენ შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მათ გადაეცემათ გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის სერთიფიკატები რესურსეფექტური და სუფთა წარმოების პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში.



სურ.12. გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის სერთიფიკატი



სურ.13. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების რუსთავის კლუბის წევრი საწარმოების სერთიფიკატებით დაჯილდოება



სურ.14. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კახეთის კლუბის წევრი საწარმოების სერთიფიკატებით დაჯილდოება



სურ. 15. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების პროგრამის მოდელი

მოდულები დაყოფილია შემდეგ თემატურ საკითხებად:

1. ბიზნეს/გარემოსდაცვითი პროფილი: საწარმოში რესურსების მოხმარების და გარემოზე ზემოქმედების იდენტიფიცირება;

სურ. 16. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მოდული 1

დღის წესრიგი

დრო	საკითხი	მამხსენებელი
13:00-13:30	UNIDO-ს რესურსები და სუფთა წარმოების პროექტის გაცნობა	ძალიან ადგიმელი, RECP პროექტის ეროვნული კოორდინატორი საქართველოში
13:30-13:50	მონაწილეთა გაცნობა (გამოცდილება, თანამდებობა, წარმოების ტიპი, მოლოდინები)	ყველა მონაწილე
13:50-14:25	რესურსები და სუფთა წარმოების (RECP) კლუბების კომპონენტის გაცნობა	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი, RECP კლუბების ფასილიტატორი
14:25-15:00	საწარმოს მიზნის/გარემოსდაცვითი პროექტი	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი, RECP კლუბების ფასილიტატორი
15:00-15:30	ჯგუფური მუშაობა და შიშველი გეგმები	ყველა მონაწილე
15:30-16:00	სადილი	

სურ. 17. რესურსები და სუფთა წარმოების მოდული 1-ის დღის წესრიგი

2. ენერგორესურსები: საწარმოში ენერგორესურსების მოხმარების შესწავლა და ენერგოეფექტური ვარიანტების შემუშავება;



სურ. 18. რესურსები და სუფთა წარმოების მოდული 2

დღის წესრიგი

დრო	დანიისმიენა	მამხსენებელი
14:00-14:15	გარემოსდაცვითი პროფილის პროგრესის შეფასება	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი
14:15-15:00	ტრენინგები - ენერგორესურსები • რა? • რატომ? • როგორ?	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი
15:00-15:30	პრაქტიკული დავალება - სავარჯიშო: „ენერგორესურსები“ - სამუშაო ფურცლების გაცნობა	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი, ყველა მონაწილე
15:30-15:45	რა იქნება შემდეგი ნაბიჯი: - ენერგორესურსებზე მონაცემთა შეგროვება	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი
15:45-16:00	ფიდბეკი/მოსაზრებები/შენიშვნები	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი

სურ. 19. რესურსები და სუფთა წარმოების მოდული 2-ის დღის წესრიგი

3. წყალი და ჩამდინარე წყლები:საწარმოში წყლის და ჩამდინარე წყლების ნაკადების შესწავლა, წყლის რაციონალურად მოხმარებისთვის და ჩამდინარე წყლების რაოდენობის შემცირებისთვის ვარიანტების შემუშავება;



სურ. 20.რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მოდული 3

დღის წესრიგი

დრო	შინაარსი	მომხსენებელი
13:00-13:15	ენერჯო პროფილის პროგრესის შეფასება	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი, RECP კლუბების ფასილიტატორი
13:15-14:15	მოდული 3. ტრენინგი - წყალი და ჩამდინარე წყლები <ul style="list-style-type: none"> რა? რატომ? როგორ? 	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი, RECP კლუბების ფასილიტატორი
14:15-14:30	შესვენება	
14:30-15:30	პრაქტიკული დავალება <ul style="list-style-type: none"> - სავარჯიშო: „ წყალი და ჩამდინარე წყლები“ - სამუშაო ფურცლების გაცნობა 	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი, RECP კლუბების ფასილიტატორი; ყველა მოწაწილე
15:30-16:00	რა იქნება შემდეგი ნაბიჯი; ფიდბეკი/ძოსაზრებები/შენიშვნები	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი, RECP კლუბების ფასილიტატორი

სურ. 21.რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მოდული 3-ის დღის წესრიგი

4. მასალები და ნარჩენები:საწარმოში ნედლეულის და სხვა მასალების, ასევე ნარჩენების ნაკადების შესწავლა, მასალების რაციონალურად მოხმარებისთვის და ნარჩენების რაოდენობის შემცირებისთვის ვარიანტების შემუშავება;



სურ. 22.რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მოდული 4

დღის წესრიგი

დრო	შინაარსი	მომხსენებელი
13:00-13:15	წყლის პროექტის პროგრესის შეფასება	ნიკოლოზ ჯავახიანი, RECP კლუბების ფასილიტატორი
13:15-14:15	მოდული 4 ტრეინინგი - მასალები და ნარჩენები <ul style="list-style-type: none"> რა? რატომ? როგორ? 	ნიკოლოზ ჯავახიანი, RECP კლუბების ფასილიტატორი
14:15-14:30	შესვენება	
14:30-15:30	პრაქტიკული დაეალება <ul style="list-style-type: none"> სავარჯიშო: „მასალები და ნარჩენები“ სამუშაო ფურცლების გაცემა 	ნიკოლოზ ჯავახიანი, RECP კლუბების ფასილიტატორი
15:00-16:00	რა იქნება შემდეგი ნაბიჯი: ფიდბეკი/მოსაზრებები/შეზიშვნები	ნიკოლოზ ჯავახიანი, RECP კლუბების ფასილიტატორი

სურ. 23. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მოდული 4-ის დღის წესრიგი

5. ქიმიური ნივთიერებები და ემისიები: საწარმოში ქიმიური ნივთიერებების, ემისიების და სახიფათო ნარჩენების ნაკადების შესწავლა, ქიმიური ნივთიერებების რაციონალურად მოხმარებისთვის, ემისიების შესამცირებლად და სახიფათო ნარჩენების რაოდენობის შესამცირებლად ვარიანტების შემუშავება;



სურ. 24. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მოდული 5

დღის წესრიგი

დრო	დანიშნულება	შემსრულებელი
13:00-13:30	მასალებსა და ნარჩენებზე პროგრესის შეფასება	ნიკოლოზ ჯავახიანი, RECP კლუბების ფასილიტატორი
13:30-14:30	მოდული 5- ქიმიური ნივთიერებები და ემისიები <ul style="list-style-type: none"> რა? - პრობლემები; რატომ? - შესაძლებლობები და სარგებელი; როგორ? - ქიმიკატების მოხმარების და ნარჩენების წარმოქმნის შეცნობა; RECP რეკომენდაციები; ტიპური გადაწყვეტა. 	ნიკოლოზ ჯავახიანი, RECP კლუბების ფასილიტატორი
14:30-14:45	შესვენება	
14:45-15:45	პრაქტიკული დაეალება <ul style="list-style-type: none"> ქიმიკატების მოხმარების გაანალიზება, შესაძლო გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება; ქიმიკატებზე სამუშაო ფურცლების გაცემა 	ნიკოლოზ ჯავახიანი, RECP კლუბების ფასილიტატორი, აველა მონაწილე
15:45-16:00	შემდეგი ნაბიჯები, კომენტარები, შეზიშვნები	ნიკოლოზ ჯავახიანი, RECP კლუბების ფასილიტატორი

სურ. 25. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მოდული 5-ის დღის წესრიგი

6. სამოქმედო გეგმა: სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გაუმჯობესების ვარიანტების ერთად თავმოყრა.

მოდული 6: RECP სამოქმედოგეგმა

RECP სამოქმედოგეგმა

ID	ვარიანტის აღწერა (გადმოიტანეთ ვარიანტები სამუშაო ფურცლებიდან 2, 3, 4 და 5)	ეკონომიკური სარგებელი			გარემოსდაცვითი სარგებელი		განხორციელება	
		ინვესტიცია [ლარი]	წლიური სარგებელი [ლ/წელი]	უკუგების პერიოდი [წელი]	რესურსების დაზოგვა (მასალა, ენერჯია, წყალი) [კვტ.სთ]	ნარჩენის მინიმიზაცია (ემისიები, ნარჩენები) [კვCO ₂ /კვტსთ]	დასრულების თარიღი	პასუხისმგებელი პირი
1								
2								
3								
4								
5								

სურ. 26. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მოდული 6, სამოქმედო გეგმის ნიმუში

დღის წესრიგი

დრო	ლონისძიება	შემსრულებელი
13:00-13:30	ქიმიურ ნივთიერებებსა და ემისიებზე პროგრესის შეფასება	ნიკოლოზ ჯაგშანაშვილი, RECP კლუბის ფასილიტატორი
13:30-14:30	მოდული 6 - RECP სამოქმედო გეგმის მომზადება რა? სამოქმედო გეგმის მიზანი; - რატომ?- სარგებელი სამოქმედო გეგმის შედეგებისგან; - როგორ?- სამოქმედო გეგმის მომზადება.	ნიკოლოზ ჯაგშანაშვილი, RECP კლუბის ფასილიტატორი
14:30-14:45	შესვენება	
14:45-15:45	პრაქტიკული დაჯილქვა სამოქმედო გეგმის შემუშავება; - სამუშაო ფურცლების გაცნობა	ნიკოლოზ ჯაგშანაშვილი, RECP კლუბის ფასილიტატორი
15:45-16:00	შემდეგი ნაბიჯები, კომენტარები, შენიშვნები	ნიკოლოზ ჯაგშანაშვილი, RECP კლუბის ფასილიტატორი

სურ. 27. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მოდული 6-ის დღის წესრიგი

თითოეული თემატური მოდული მოიცავს შემდეგ საკითხებს:

რა – გლობალური, ეროვნული და საწარმოს დონეზე არსებული პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია რესურსების მოხმარებასთან (მასალები, წყალი, ენერჯორესურსები), ნარჩენების წარმოქმნასთან და ემისიებთან;

რატომ – ბიზნეს გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ხარჯებთან, რისკებთან, გარემოზე ზემოქმედებასთან და რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ვარიანტების განხორციელებით მიღებულსარგებელთან;

როგორ – რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მეთოდები საწარმოში სხვადასხვა საკითხების შესასწავლად (წყარო), ძირითადი გამოწვევი მიზეზების სისტემატიური ანალიზი (მიზეზი) და რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ვარიანტების იდენტიფიცირება, შეფასება და განხორციელება (ვარიანტი).



სურ. 28. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების თემატური მოდულების საკითხები

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის აქტივობები

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბები საჭიროებს ეროვნული კოორდინატორის, ფასილიტატორის და საწარმოს წარმომადგენლების კოორდინირებულ და ერთობლივ ძალისხმევას. თითოეული ციკლი მოიცავს შემდეგ აქტივობებს:



სურ. 29. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის აქტივობები

1. ოპერატიული და ბიზნეს დაგეგმვა
2. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის პოპულარიზაცია დარეკრუტირება
3. კლუბის შეხვედრები/ტრენინგები
4. ინდივიდუალური საწარმოო რჩევები
5. გაგრძელება

ეს აქტივობები დეტალურად აღწერილია შემდეგ თავებში.

1. ოპერატიული და ბიზნეს დაგეგმვა

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების წარმატება დამოკიდებულია საქმიანობის ეფექტურ დაგეგმვაზე. აქტივობების, საჭირო რესურსების, დროის და მოსალოდნელი შედეგების დეტალურად აღწერისთვის შექმნილია პროექტის მართვის ინსტრუმენტი (ექსელის ფაილი).

ადამიანური რესურსების დაგეგმვა ძალიან მნიშვნელოვანია: ფასილიტატორი ატარებს ტრენინგებს და ინდივიდუალურ რჩევებს აძლევს კლუბის წევრ საწარმოებს. პროექტის მართვის ინსტრუმენტს აქვს ოთხი სექცია:

RECP Clubs							
Start	01/09/2015	End	31/12/2015	Executed days		Planned days	158
Promotion	Workshops	On site guidance	Follow up	Project management			
1. 0 19	2. 0 18	3. 0 74	4. 0 22	5. 0 25			
Identify key stakeholders and secure local support	Workshop 1 : Environmental profile	Preparation for visits in the companies	Document environmental and economical achievements	Activities Planning and Coordination			
1.1. 0 3	2.1. 0 3	3.1. 0 8	4.1. 0 10	5.1. 0 10			
Promotion and awareness raising seminars	Workshop 2 : Energy	On site technical visits	Facilitation of companies communication	Communication			
1.2. 0 2	2.2. 0 3	3.2. 0 24	4.2. 0 2	5.2. 0 5			
Secure minimum 8 companies in two regions	Workshop 3: Water& Waste Water	Ongoing support	Development of succes stories	NCPP Coordinator Reporting			
1.3. 0 6	2.3. 0 3	3.3. 0 24	4.3. 0 10	5.3. 0 10			
Promotion/Communication laising and advocacy	Workshop 4 : Materials &Waste	Step by step development of company report					
1.4. 0 8	2.4. 0 3	3.4. 0 18					
	Workshop 5: Chemicals & emissions						
	2.5. 3						
	Workshop 6: Action Planning						
	2.6. 3						

სურ. 30. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის ციკლები

“დაგეგმვა” – ეს სექცია აერთიანებს ხუთ სამუშაო პაკეტს: პოპულარიზაცია, ტრენინგი, ინდივიდუალური რჩევა, გაგრძელება და პროექტის მართვა.

“განტი” – განტის მიზანია ყოველთვიური სამუშაოს ეფექტურად დაგეგმვა ადამიანური რესურსების და დროის ფაქტორის გათვალისწინებით.

“სამუშაო პაკეტი” – აქტივობების და მოსალოდნელი შედეგების დეტალურად აღწერის საშუალებას იძლევა.

“კორექტირებადი სამოქმედო გეგმა” – აქტივობების და შედეგების დროულად შესრულების კონტროლის უზრუნველსაყოფად და გადაცდომის შემთხვევაში შესწორების შესატანად გამოიყენება.

Corrective Action Plan						
No.	Action	Responsible	Cost	Deadline	Comments	Status
						accomplished
						open
						not accomplished

სურ.31.კორექტირებადი სამოქმედო გეგმა

2. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების პოპულარიზაცია და საწარმოების მოზიდვა, კლუბებში ჩართვა

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების პოპულარიზაცია აუცილებელია წევრების მოსაზიდად. ამ მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი აქტივობები:

- 1) დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა მასპინძლის როლში;
- 2) გაცნობითი შეხვედრის ორგანიზება, და კომუნიკაციის გაგრძელება პოტენციურ კლუბის წევრ საწარმოებთან;
- 3) თითოეულ რეგიონში 8-10 საწარმოს ჩართვა კლუბში (ფორმალური შეთანხმების გაფორმება საწარმოებთან);
- 4) პოპულარიზაცია, კომუნიკაცია და ადვოკატირება მთელი ციკლის განმავლობაში:
 - ბუკლეტების, სტატიების, კლუბის ლოგოს შექმნა, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბის შესახებ საინფორმაციო მწვანე კუთხის მოწყობა ადგილობრივ თვითმმართველობებში/გამგებებში;
 - ინტერნეტის და მედია საშუალებებით მასალების/ინფორმაციის გავრცელება;
 - პოპულარიზაცია ადგილობრივ/რეგიონალურ ბიზნეს ღონისძიებებზე.



სურ.32. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა



სურ.33. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა



სურ.34. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების პოპულარიზება ბიზნეს ფორუმზე



სურ.35. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების პოპულარიზება ადგილობრივი მედია საშუალებებით

3. კლუბის შეხვედრები/ტრენინგები

ტრენინგის მიზანია მონაწილეებმა გაიცნონ ქვემოთ ჩამოთვლილი თემები, წარმოაჩინონ თავიანთი საწარმოების საჭიროებები ამ თემებთან დაკავშირებით, მიიღონ დახმარება გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირებაში.



სურ. 36. ექვსი თემატური მოდული

ამ ეტაპზე ორი ძირითადი ნაბიჯი არის გასათვალისწინებელი:

მომზადება არის წარმატებული ტრენინგის საფუძველი და საჭიროებს ეფექტურ დაგეგმვას და ორგანიზებას. ამისათვის საჭიროა:

- ტრენინგის სავარაუდო თარიღის დანიშვნა და მასპინძელ ორგანიზაციასთან შეთანხმება;
- ტრენინგის დღის წესრიგის მომზადება – სანიმუშო დღის წესრიგი შემუშავებულია და საჭიროებს მხოლოდ თარიღის, დროს და ფასილიტატორის სახელის შეცვლას.
- ერთი კვირით ადრე ელ-ფოსტით მოსაწვევების გაგზავნა საწარმოებში, ორი დღით ადრე სატელეფონო ზარის მეშვეობით მოპატიჟება;
- საკუთარი თავის მომზადება:
 - o გამზადებული თემატური პრეზენტაციის წაკითხვა;
 - o საწარმოების რესურსეფექტური და სუფთა წარმოებისსახელმძღვანელოს წაკითხვა;
 - o წინა ტრენინგზე საწარმოების მხრიდან წამოყენებული საკითხების განხილვა;
 - o გამზადებული პრაქტიკული სავარჯიშოს განხილვა და სადისკუსიოდ მომზადება;
 - o წევრი საწარმოების შესახებ ინფორმაციის განახლება:თქვენ უნდა იცოდეთ საწარმოებში მიმდინარეაქტივობები, პროცესები, მასალები, პროდუქცია, გარემოზე ზემოქმედების ტიპები, იდენტიფიცირებული პრობლემები, საბაზისო მონაცემები და მიღწეული პროგრესები.
 - o „მონაცემთა შეგროვების სამუშაო ფურცლების“ მეშვეობით მოწოდებული მონაცემების შეგროვება;



დაიმახსოვრეთ!
შეხვედრის/ტრენინგის ანგარიშარისღირებულისაინფორმაციოწყარო.

ტრენინგების ჩატარება- ექვსივე მოდულისთვის ტრენინგებს აქვთ მსგავსი სტრუქტურა:



სურ. 37. ტრენინგის სტრუქტურა



სურ.38. კლუბის წევრებთან ჯგუფური განხილვა

ტრენინგი უნდა გაგრძელდეს მაქსიმუმ 3 საათი და შეიცავდეს შემდეგ სამ ნაწილს:

- **მიმოხილვა**- ტრენინგის პირველი ნაწილი (30 წუთი) უნდა დაეთმოს განვლილ თემაზე განხილულ საკითხებზე კომპანიის პროგრესის შეფასებას, კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ შესრულებული დავალება.
- **ტექნიკური განხილვა** - მეორე ნაწილი ეთმობათეორიული ნაწილის გაცნობას ppt პრეზენტაციის მიხედვით (ექვსივე მოდულისთვის მომზადებული პრეზენტაციებით);
- **პრაქტიკული სამუშაო** - წარმოაჩენს კომპანიების საჭიროებას მოცემულ თემასთან დაკავშირებით და შესაძლო გაუმჯობესების ვარიანტების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა (ექვსივე მოდულისთვის შესაბამისი სამუშაო ფურცლის/სავარჯიშოს მეშვეობით).



სურ.39. პრაქტიკული სამუშაოკლუბის წევრებთან



დაიმახსოვრეთ!

თქვენი მთავარი მიზანია დაეხმაროთ მონაწილეს კონკრეტული თემის მიხედვით თავისი საჭიროების წარმოჩენაში, პრობლემების განსაზღვრაში, გადაწყვეტების იდენტიფიცირებაში და ქმედებად გარდაქმნაში. აუდიტორიის სტიმულირებისთვის გამოიყენეთ კრეატიული სწავლების ტექნიკა!

4. საწარმოო საკითხებზე ინდივიდუალური რჩევები კომპანიებისთვის

კონკრეტული სექტორების შესაბამისი ცოდნა და ამ სექტორებთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა საშუალებას იძლევა თითოეულ საწარმოს ინდივიდუალური რჩევა მიეცეს. ფასილიტატორი ახდენს 3-4 „ტექნიკურ ვიზიტს“ საწარმოებში შემდეგი მიზნით:



საწარმოს დათვალიერება და სიტუაციის შესწავლა;

მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია, დამატებითი მონაცემების საჭიროების განსაზღვრა;

ძირითადი გამომწვევი მიზეზების ანალიზი;


თემატიკის მიხედვით ვარიანტების გენერირება;

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სამოქმედო გეგმის შემუშავება.



სურ.40. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მიდგომა

მომზადება „ტექნიკური ვიზიტებისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია და საჭიროებს ეფექტურ დაგეგმვას:

- შეარჩიეთ დღე ვიზიტისთვის, სცადეთ რამდენიმე ვიზიტის ერთ დღეს კომბინირება;
- ვიზიტის მოკლე დღის წესრიგის შედგენა:
 - o ვიზიტის მიზანი,
 - o შესასრულებელი აქტივობები,
 - o პიროვნებები რომლების ჩართულობაც შესაძლებელია.
- საწარმოების შესახებ მონაცემების და მათი მიღწევების შესახებ ინფორმაციის განხილვა/განახლება;
- საწარმოში არსებულ კონკრეტულ პრობლემებზე შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა, შესაძლო გადაწყვეტის მოფიქრებისთვის.



სურ.41. საწარმოში ტექნიკური ვიზიტისას გამოვლენილი ხარვეზები




სურ.42. საწარმოებში ტექნიკური ვიზიტებისას გამოვლენილი ხარვეზები

უწყვეტი კავშირი და მხარდაჭერა- ელ-ფოსტით და ტელეფონით საწარმოებთან კონტაქტის შენარჩუნება საშუალებას იძლევა უკეთესად მოახდინოთ რესურსების მოხმარების გაანალიზება, მონაცემთა შეგროვება, არაეფექტურობის მიზეზების იდენტიფიცირება და სამუშაო გეგმის შემუშავებაში მიხმარება.

5. გაგრძელება

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ვარიანტების განხორციელებით მიღებული შედეგების შეფასება საჭიროებს:

- დამატებით ვიზიტებს საწარმოებში (სამი და ექვსი თვის ინტერვალით) მიღწეული გარემოსდაცვითი და ეკონომიკური შედეგების შესაფასებლად:
 - o ხელახლა უნდა შეგროვდეს მონაცემები, მოხდეს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ინდიკატორების კალკულაცია და შეედაროს საბაზისო მონაცემებს;
 - o სურათები კარგი საშუალებაა მიღწევების და განხორციელებული რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ღონისძიებების გადმოსაცემად.
- უნდა მომზადდეს „წარმატების ისტორია“, რომელიც გამოყენებული იქნება პოპულარიზაციისთვის და ადვოკატირებისთვის.



სურ.43. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ღონისძიების განხორციელების შედეგად მიღებული შედეგი

რესურსების პაკეტი

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბებისთვის შემუშავებული რესურსების პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს და ინსტრუმენტებს:

საწარმოებისთვის
<ul style="list-style-type: none"> რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების სახელმძღვანელო თვითშეფასების სამუშაო ფურცლები თვითშეფასების ინსტრუმენტი ანგარიშის ფორმა
ფასილიტატორისთვის
<ul style="list-style-type: none"> რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების ფასილიტატორის სახელმძღვანელო დღის წესრიგი პრეზენტაციები თვითშეფასების სამუშაო ფურცლები მენეჯმენტის ანგარიშის ფორმა მენეჯმენტის და ოპერატიული ინსტრუმენტი

სურ.44. რესურსების პაკეტის მასალები

დამხმარე მასალები საწარმოებისთვის

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების სახელმძღვანელო

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების სახელმძღვანელო არის შექმნილი საწარმოებისთვის და მისი მიზანია საწარმოს წარმომადგენლები გაეცნონ რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მიდგომებს და მეთოდოლოგიას, რათა შეძლონ რესურსების ეფექტურად მოხმარება და ნარჩენების რაოდენობის და ემისიების შემცირება.

სახელმძღვანელო მოიცავს ექვს თემატურ მოდულს. თითოეული თემატური მოდული აღწერს:

რა – ყოველ თემატურ საკითხთან დაკავშირებული გლობალური და ეროვნული პრობლემები;

რატომ – ბიზნესს გამოწვევები, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ვარიანტების განხორციელებით მიღებულ ისარგებელი;

როგორ – რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მიდგომები და მეთოდები საწარმოში სხვადასხვა საკითხების შესასწავლად (წყარო), ძირითადი გამომწვევი



სურ.45. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების სახელმძღვანელო

მიზეზების სისტემატიური ანალიზი (მიზეზი) და რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ვარიანტების იდენტიფიცირება, შეფასება და განხორციელება (ვარიანტი).

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბების სახელმძღვანელოები უნდა დაურიგდეს კლუბის წევრ საწარმოებს ტრენინგების დაწყებისთანავე; სახელმძღვანელო შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფასილიტატორის მიერ ტრენინგებზე პრეზენტაციებთან ერთად.

თვითშეფასების ინსტრუმენტი

თვითშეფასების ინსტრუმენტი შექმნილია საწარმოებისთვის, რათა უკეთ შეიცნონ მათ ისეთი საკითხები, როგორებიცაა: რესურსების მოხმარება, ნარჩენების და ემისიების წარმოქმნა, არაეფექტურობის მიზეზები, დანაკარგები, გაუმჯობესების ვარიანტები.


თვითშეფასების ინსტრუმენტის თითოეული სექცია ახსნილი/განმარტებული იქნება ტრენინგზე პრაქტიკული სავარჯიშოს დროს შესაბამის თემატურ მოდულთან ერთად.

აღნიშნული ინსტრუმენტის შევსება ხდება საწარმოების მიერ ფასილიტატორის მეთვალყურეობის ქვეშ. მასში მოცემულია ყველა მონაცემი საწარმოს შესახებ, რაც მარტივად ხელმისაწვდომია ფასილიტატორისთვის და აიოლებს თვალი მიადევნოს საწარმოს მუშაობის ეფექტურობას და პროგრესს.

თითოეული თემატური მოდულისთვის შექმნილია სამუშაო ფურცლები, რომლებიც ეხმარება საწარმოს გარემოსდაცვითი პროფილის შექმნაში, რესურსების მოხმარების და ნარჩენების წარმოქმნის ანალიზში, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ვარიანტების შემუშავებაში და მათ განსახორციელებლად საჭირო ამოცანების განსაზღვრაში.

თვითშეფასების ინსტრუმენტი შედგება შემდეგი შვიდი ნაწილისგან:

- გაცნობითი ნაწილი: "ზოგადი ინფორმაცია";



სურ. 46. გაცნობითი ნაწილი: "ზოგადი ინფორმაცია"

- ნაწილი 1 "პროფილი": ეს სექცია საწარმოს საბაზისო პროფილის შექმნის და მონაცემთა შეგროვების საშუალებას იძლევა. მასალების და რესურსების ნაკადების, ეკონომიკური ხარჯების და გარემოზე ზემოქმედების პირველადი ანალიზით ხდება გარემოსდაცვითი პრიორიტეტების განსაზღვრა. მონაცემთა შეგროვება ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია და გამოყენებული იქნება თვითშეფასების ინსტრუმენტის შემდეგ ნაწილებში (ენერჯო რესურსები, წყალი და ჩამდინარე წყლები, მასალები და ნარჩენები, ქიმიკატები და სახიფათო ნარჩენები).

მოდული 1: გარემოსდაცვითი პროექტი				
1. მიღებული პროდუქტები				
ID	პროდუქტი/სერვისი	ფიზიკური ერთეული (კგ, ტონა, ცალი)	წლიური გამომშვებება	წლიური ჩაქოვება (t CO ₂ e)
1				C
2				C
3				+
4				+
5				C
ჯამური გამომშვებება პროდუქტები			C	-

2. გამოყენებული რესურსები					
A: გამომყვებელი წინდობები და მასალები					
ID	აღწერა	ფიზიკური ერთეული (კგ, ტონა...)	წლიური მოხმარება	წლიური დაბრუნება (EUR)	ტონ/სიკვრობა/სახეობა/მანა (დანალი/სამშროლო/მბალი)
1				C	
2				+	-
3				+	-
4				+	-
5				C	

სურ.47. მოდული 1 “პროექტი”

- ნაწილი 2 “ენერგორესურსები”, ნაწილი 3 “წყალი”, ნაწილი 4 “ნარჩენები” დანაწილი 5 “ქიმიკატები” - ეს სექციები გაძღვევენ საშუალებას, რომ შევაფასოთ: ჯამურად ენერგორესურსების მოხმარება, ნარჩენების და ემისიების რაოდენობა, მათი ღირებულება. ასევე, შესაძლებელი ხდება მოვახდინოთ: თეორიულად საჭირო და პრაქტიკულად მოხმარებული რაოდენობების შედარება, არაეფექტურობის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და ისეთი რესურსეფექტური და სუფთა წარმოებისვარიანტების მოფიქრება, რომლებიც გააუმჯობესებს ეფექტურობას და შეამცირებს ნარჩენებს და ემისიებს.

მოდული 2: ენერჯი		მოდული 3: წყალი		მოდული 4: მასალები და ნარჩენები	
ID	ტიპი	ID	ტიპი	ID	აღწერა
1	ენერჯი	1	საქონლის წყალი	1	მასალის მოხმარება
2	ნახშირი	2	საქონლის წყალი	2	მასალის დაბრუნება
3	ენერჯი	3	საქონლის წყალი	3	მასალის დაბრუნება
4	ენერჯი	4	საქონლის წყალი	4	მასალის დაბრუნება
5	ენერჯი	5	საქონლის წყალი	5	მასალის დაბრუნება

მოდული 5: ქიმიკატები და ხახოვითა წარჩენები და ემისიები				
1. ქიმიკატების დაბრუნება				
ID	დასახელება	ფიზიკური ერთეული (კგ, ტონა...)	წლიური მოხმარება	წლიური დაბრუნება (EUR)
1				C
2				+

სურ.48. მოდული 2 “ენერგორესურსები”, მოდული 3 “წყალი”, მოდული 4 “ნარჩენები” და მოდული 5 “ქიმიკატები”

- ნაწილი 6 “სამოქმედო გეგმა” - ეს ნაწილი წარმოადგენს რესურსეფექტური და სუფთა წარმოებისვარიანტების ნუსხას, სადაც კატეგორიებად არის დალაგებული რესურსეფექტური და სუფთა წარმოებისმიდგომებით და მეთოდოლოგიით შემუშავებული ამოცანები და ღონისძიებები. ასევე, წარმოადგენილია ინფორმაცია თითოეული ღონისძიების განხორციელება რა ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებელის მომტანი იქნება საწარმოსთვის, რა რაოდენობის ინვესტიცია არის საჭირო, რა ეტაპებს მოიცავს დასახული ამოცანების შესრულება, რა ვადებში უნდა შესრულდეს და ვინ არის მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.

მოდული 6: RECP სამოქმედო გეგმა

RECP სამოქმედო გეგმა

ID	ფინანსის აღწერა (გადმოიხატოს კონსტრუქციის მაშობო ფორმის დაშვ. ა. და კ.)	კონკრეტული ამოცანები				ეკონომიკური სარგებელი			გარემოსდაცვითი სარგებელი	
		განხარვ იღებინა დაწყება	დონისხოვ ბა	დაჩვენა	ჩვენაეი ა	იმვესტი ის II	წლოური სარგებელ ი I/წელი	უსუვეხი ს პერიოდ ი I/წელი	რესურსუნის დაზოგვა (ჩისაღა, ენურგია და წყალი)	ნარჩენის ბინამსოგვა (ეპისიებო ჩამდინარე წყალი და ბაოგინი)
1										
2										
3										

სურ.49.მოდული 6 "სამოქმედო გეგმა"

თვითშეფასების სამუშაო ფურცლები

ტრენინგებზე უნდა შეივსოს წინასწარ შექმნილი ექვსი ცალი თვითშეფასების სამუშაო ფურცელი, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება:

პირველ ნაწილში საწამოებმა უნდა დაწერონ რა ტიპის რესურსებს მოიხმარენ, რა სახის დანაკარგები აქვთ, რა ნარჩენები და ემისიები წარმოიქმნება, იმ მომენტისთვის რა ღონისძიებებს მიმართეს არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

მეორე ნაწილში ხდება მონაწილეებზე თვითშეფასების ინსტრუმენტის გაცნობა და დეტალური ინსტრუქციების მიცემა, თუ რა სახის მონაცემები არის საჭირო სამუშაო ფურცლების შესავსებად და როგორ უნდა შეივსოს ისინი. ასევე, დამსწრეებს უნდა მიეცეთ რჩევები რაზე გააკეთონ ფოკუსირება და ბოლოს, მოცემულ კითხვებზე უნდა გასცენ შესაბამისი პასუხები.

კომპანია:				
რესურსების გამოყენება				
წედლეული				
ენერგია (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, მანუთი, ა.შ.)				
წყალი				
ქიმიური ნივთიერებები				
გარემოზე ზემოქმედება				
ნარჩენების გაუვნებელყოფა/გადაყრა				
ემისიები ჰაერში				
ნარჩენი წყლების გაშვებები				
ტოქსიკური ნივთიერებების კონტროლი				
სუნი				
ხმაური				
კომპანიის ეფექტურობა				
მენეჯმენტის ვალდებულება გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, მაგ. აქვს თუ არა კომპანიას გარემოსდაცვითი პოლიტიკა ან გარემოსდაცვითი მართვის სისტემა				
წარმოების ეფექტურობა, ტექნოლოგიის დონის ჩათვლით				
თანამშრომლების მოტივაცია, გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩათვლით				
სამუშაო ადგილის მდგომარეობა/კონდიცია				
რამდენად არის ჩამოყალიბებული და გამართული გარემოს დაცვის პროცედურები				

სურ.50. თვითშეფასების სამუშაო ფურცლებიდან ამინდის დიაგრამა

საწარმოების ანგარიშის ფორმის ნიმუში

რესურსეფექტური და სუფთა წარმოებისშეფასებასა და მიღწევებზე ძირითადი ინფორმაცია უნდა შეგროვდეს ერთ დოკუმენტში. ანგარიშის ფორმის ნიმუში შემუშავებულია სამოქმედო გეგმის ვრცელი ვერსიის სახით და უნდა შეიცოს საწარმოების მიერ სატრენინგო კურსის მიმდინარეობისას პროექტის დასრულებამდე.

ანგარიშის ნიმუში შეიცავს ოთხ სექციას:

- 1) ინფორმაცია: აღწერს რას წარმოადგენსრესურსეფექტური და სუფთა წარმოება და რა იქნა გაკეთებული;
- 2) რესურსეფექტური და სუფთა წარმოებისსამოქმედო გეგმა;
- 3)განხორციელება(რესურსეფექტური და სუფთა წარმოებისვარიანტების შესასრულებლად დასახული ამოცანების რეზიუმე);
- 4)ჯვარედინ გაუმჯობესებებზე შეთავაზება მენეჯმენტს.

დამხმარე მასალები ფასილიტატორისთვის

მენეჯმენტის ანგარიშის ნიმუში

ფასილიტატორის მიერ შემუშავებული ანგარიში უნდა შეიცავდეს:

- კლუბებისთითოეულიშეხვედრიდანშთაბეჭდილებებსდადისკუსიებს;
- საწარმოების მონაწილეობასა და მიღწევებზე შენიშვნებისრეზიუმეს;
- კლუბის წევრი საწარმოების სამოქმედო გეგმებს (ანექსის სახით).

**EaP GREEN პროგრამა: მწვანე ეკონომიკის განვითარება ევროკავშირის აღმოსავლეთ
სამეზობლოში**

www.green-economies-eap.org

UNIDO-ს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების სადემონსტრაციო პროექტი საქართველოში

www.recp.ge